



ბეირუთში, რუსულ სახლში, გაიმართა ფილმის ჩვენება უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დევნის შესახებ – „ქრისტეს ხალხი. ჩვენი დრო“



სსკვ-ის კომუნიკაციის სამსახური, 21.02.2025. 20 თებერვალს ბეირუთში (ლიბანი), რუსულ სახლში, გაიმართა ფილმის „ქრისტეს ხალხი. ჩვენი დრო“ პრეზენტაცია, რომელიც ეძღვნება უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის დევნას. ფილმის პროდიუსერია ცნობილი სერბი რეჟისორი ემირ კუსტურიცა.

პრეზენტაციაში მონაწილეობა მიიღეს ზაჰლეი-ბაალბეკის მიტროპოლიტმა ანტონიმ (ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესია), რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩმა ლიბანში

ან. რუდაკოვმა, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა ანტიოქიის საპატრიარქო საყდართან არქიმანდრიტმა ფილიპემ (ვასილცევი), ლიბანის მთების სამიტროპოლიტოს წარმომადგენელმა დეკანოზმა გიორგი ფრეიხამ, ტვიროს-სიდონის სამიტროპოლიტოს წარმომადგენელმა დეკანოზმა იოსებ ხურიმ, ბეირუთში რუსეთის სახლის დირექტორმა ა.ა. სოროკინმა, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში რუსული თემების საკოორდინაციო საბჭოს წევრმა ს. საფომ, რუსეთის საელჩოს თანამშრომლებმა, ლიბანის საზოგადოებრივი და კულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

ფილმის ჩვენების წინ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა რუსეთის ფედერაციის ელჩმა ან. რუდაკოვმა, რომელმაც, კერძოდ, აღმაშფოთებელი უნოდა უკრაინის ხელისუფლების ქმედებებს უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ. „არ წყდება მასობრივი დევნა მისი მრევლისა და მღვდელმსახურების წინააღმდეგ. დასავლეთის ქვეყნები კი ყოველივე ამაზე თვალს ხუჭავენ, ლამის ევროპული ფასეულობებისა და ადამიანის უფლებების ეტალონად წარმოაჩინონ უკრაინის დრაკონული წესრიგი“, – განაცხადა მან.

ზაჰლეი-ბაალბეკის მიტროპოლიტმა ანტონიმ თავის მისასალმებელ სიტყვაში, კერძოდ, აღნიშნა: „უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას რუსეთის ეკლესიასთან ათასწლოვანი საერთო ისტორია აკავშირებს. დღეს უკრაინის კანონიკური ეკლესია, მიტროპოლიტ ონოფრეს მეთაურობით, მძიმე განსაცდელებსა და დევნას განიცდის, რაც გვახსენებს ქრისტიანობის ისტორიაში მომხდარ მძიმე დევნის სხვადასხვა პერიოდს. მაგრამ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია ისტორიულად არსებობდა ამ მიწაზე, მისი ფესვები აქ არის და მისი ცენტრი არის ქრისტი, რომელიც ინახავს მას. სცემენ და აპატიმრებენ მღვდელთმთავრებს, მღვდლებს, ტაძრებიდან აძევებენ მორწმუნეებს. ეს ხდება ჩვენს დღეებში, არადა, ყველა ეს დევნა თითქოსდა წარსულა უნდა ჩაბარებოდა. უკრაინის ეკლესიის მღვდელთმთავრებისა მორწმუნეების ჩაგვრა და შევიწროება მოწმობს, რომ ეს ეკლესია ქრისტეს და მისი სწავლების ერთგული რჩება. გაივლის რა ყველა განსაცდელს, ის აუცილებლად დარჩება ღმერთში ჭეშმარიტების, მშვიდობისა და რწმენის სინძინდის მონმე“.

რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენელმა ანტიოქიის საპატრიარქო საყდართან არქიმანდრიტმა ფილიპემ ხაზი გაუსვა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დევნის უპრეცედენტო ხასიათს ჩვენს დროში და ამის კონკრეტული მაგალითები მოიყვანა.

საეთაშორისო პრემიერა შედგა 2024 წლის 18 სექტემბერს ბელგრადში, რომელსაც ესწრებოდა სერბეთის უწმინდესი პატრიარქი პორფირე. დოკუმენტური ფილმის რუსულ პრემიერას **დაესწრო** მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქი კირილე. ფილმის ჩვენება ასევე **გაიმართა** აშშ-ში რუსეთის საელჩოში 13 თებერვალს.